გორის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **20-2024225325**
თარიღი: **12/08/2024**

ადრესატი: სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის საჯარო სკოლა
მისამართი: მეჯვრისხევი

თქვენი განცხადების პასუხად, სოფ. მეჯვრისხევში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (№66.53.11.336) საჯარო სკოლის შენობის ნაწილის სადემონტაჟო სამუშაოების მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენასთან დაკავშირებით, გაცნობებთ: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის, მე-3 პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტისა და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენი მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

პატივისცემით,

ვლადიმერ ხინჩეგაშვილი

გორის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ელექტრონული დოკუმენტის მასტერიალური ასლი
13.08.2024 წ.

გორის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:ბ20. 202422523

თარიღი:12/08/2024

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის, მე-3 პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ მე-100 მუხლის, 103-ე მუხლის, პირველი პუნქტის, 104-ე მუხლის პირველი პუნქტისა და “მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების მე-8 მუხლის, პირველი პუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სოფ. მეჯვრისხევის საჯარო სკოლის შენობის ნაწილის სადემონტაჟო (მდებარე: რაიონი გორი, სოფ. მეჯვრისხევი, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან სარეგისტრაციო: №8920213588272; საკადასტრო კოდი: № 66.53.11.336) სამუშაოების მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები № 136/24.

2. ბრძანების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები № 136/24.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ.გორი, ს.ჯორბენაძის ქ.№30).

ვლადიმერ ხინჩეგაშვილი

გორის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი